სკოლის დასახელება	სკოლა „ქორალი“
მასწავლებელი	თეონა ფანჩულიძე
საგანი	ქართული ენა და ლიტერატურა
გაკვეთილის თემა	მარიანე კაურინი „ჩვენი სამხრეთი“
სწავლების საფეხური და კლასი	დაწყებითი, VI კლასი
საგაკვეთილო დრო	2 კვირა
მოსწავლეთა რაოდენობა	20 მოსწავლე
აქტივობების მიზნები და მისაღწევი შედეგები	**ქართ.დაწყ.(I).2** სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა. **ქართ.დაწყ.(I).3** სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე). **ქართ.დაწყ.(I).5** ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად. **ქართ.დაწყ.(I).6** სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით. **ქართ.დაწყ.(I).7** წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა. **ქართ.დაწყ.(I).11** ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება; ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დაცვა.
მოსწავლეების წინარე ცოდნა	

ყველაზე წიგნიერი

	ენიდ ბლაიტონი „ცნობილი ხუთეული“
აქტივობები	1. 3D ნახატის ან კონსტრუქციის შექმნა, მსჯელობა სოციალურ თემატიკაზე. 2. პარალელი მსგავს ლიტერატურასთან, ენიდ ბლაიტონი „ცნობილი ხუთეული“, წერილის დაწერა. 3. „თოქ-შოუ“ თემაზე _ გარემო ფაქტორების გავლენა მოზარდის ფსიქოლოგიაზე, კვლევა.
აქტივობა 1 (1 კვირა)	**აქტივობის აღწერა** მოსწავლეებს წავაკითხებ ნაწყვეტს. შემდეგ ინდივიდუალურად დავავალებ შექმნან 3D ნახატები ან კონსტრუქციები ინას საცხოვრებელი კვარტალის შესახებ. თითოეულ მათგანს გავაკეთებინებ პრეზენტაციას. ისაუბრებენ როგორია დასახლება, რა არის კარგი და რა არის გამოსასწორებელი ტიტენში. ვთხოვ, ისაუბრონ, თავად რომ ცხოვრობდნენ ასეთ დასახლებაში, როგორც მოქალაქეები, რა სამუშაოებს ჩაატარებდნენ უბნის გასაუმჯობესებლად. **აქტივობის მიზანი** სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა. წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა. მოსწავლეები გაიუმჯობესებენ ვიზუალური მასალის შექმნის პრაქტიკას.
აქტივობა 2 (2 გაკვეთილი)	**აქტივობის აღწერა** ნახატების შექმნის შემდეგ გავიხსენებთ ენიდ ბლაიტონის წიგნის „საიდუმლო ხუთეულის“ პირველი ნაწილის დასაწყისს, სადაც ჩანს, რომ მშობლები შვილებს ზაფხულის გასატარებლად გზავნიან კუნძულზე, სადაც წასვლის სურვილი დიდად არ აქვთ. ინა, მართალია, არსად მიდის, მაგრამ ტიტენის დასახლებაში არ სურს ზაფხულის გატარება. მოლოდინი ორივე წიგნში უარყოფითია. ბავშვებს ვთხოვ, გაავლონ პარალელი. იმსჯელონ

	ტექსტების მსგავსებასა და განსხვავებებზე. რადგან „ცნობილი ხუთეული“ წაუკითხავთ, იციან რა საინტერესო აღმოჩნდება ბავშვებისათვის ზაფხული. ვთხოვ, გამოთქვან თავიანთი მოსაზრება როგორ შეიძლება გაატაროს ინამ არდადეგების 4 600 000 წამს + 65 600 წამი. დავავალებ მისწერონ წერილი ინას, სადაც მისცემენ რჩევებს თუ როგორ გაატაროს ზაფხული.
	აქტივობის მიზანი ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად. წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა. მოსწავლეები გაიუმჯობესებენ წერილის წერის პრაქტიკას.
აქტივობა 3 (1 კვირა)	**აქტივობის აღწერა** ტიტენის დასახლების მოწესრიგებისა და ინასთვის არდადეგების გატარების რჩევების მიცემის შემდეგ მოსწავლეებს გადავუნაწილებ როლებს და გავაკეთებთ „თოქ-შოუს“. მსგავსი ტიპის ფორმატით მუშაობა მათთვის სიახლე არ იქნება, აქამდეც განგვიხილავს სხვადასხვა სოციალური საკითხი მსგავსი ფორმატით. ამჯერად ვისაუბრებთ თუ როგორია გარემო ფაქტორების გავლენა მოზარდის ფსიქოლოგიაზე. მოსწავლეები სურვილისამებრ მოირგებენ: სოციოლოგის, ბავშვთა ფსიქოლოგის, ლიტერატორის, ჟურნალისტის როლს. მოამზადებენ საკუთარ მოსაზრებებს და მოიფიქრებენ გასამყარებელ არგუმენტებს. ასევე გვეყოლება მოსწავლეებისაგან შემდგარი აუდიტორია, რომელიც აქტიურად დასვამს კითხვებს და ჩაერთვება მსჯელობაში. განსახილველი საკითხი იქნება ტიტენის დასახლებაში ცხოვრების გამო რა პრობლემები ექმნება ინას სკოლაში, როგორია ბავშვების დამოკიდებულება გარეუბნის შესახებ. ამ საკითხზე უკეთ რომ შეძლონ მსჯელობა დავავალებ ჩაატარონ კვლევა, გამოკითხავენ მეგობრებს სხვადასხვა რეგიონში, ასევე მშობლებს, როგორი დამოკიდებულება აქვთ/ჰქონდათ სკოლაში ერთმანეთისადმი. გამოკითხვა დაეხმარება ბავშვებს წარმოადგინონ ახალი და წინა თაობის დამოკიდებულება სხვადასხვა უბნის ადამიანების

	ურთიერთობის შესახებ. ვიმსჯელებთ არსებულ პრობლემებზე და მათი ამოფხვრის გზებზე. გავაკეთებთ „თოქ-შოუს“ ვიდეო ჩანაწერს. **აქტივობის მიზანი** ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება; ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დაცვა. ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.
შეფასება	გაკვეთილზე გამოვიყენებთ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას.

ყველაზე წიგნიერი